ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს " ყამარი მ" საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. შპს "ყამარი მ " ს/კ (200260207) დაარსდა 2008 წელს , ,მარეგისტრირებელი ორგანო სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.
რეგისტრირებული იურიდიული მისამართი: საქართველო,ქ.თბილისი,გლდანი -ნაძალადევის რაიონი, მუხიანის აგარაკები ვაკისუბნის დასახლება. ფაქტობრივი მისამართი: მუხიანი ნოდარ დუმბაძის გამზირი #28 ა.
დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა შეადგენს 16 ადამიანს.(2018 წელს- 18)
კომპანიის დამფუძნებელებს წარმოადგენენ: ირინე ღუდუშაური პ/ნ 01001068095-20%, გურამ ყამარაული პ/ნ 01001009708 -20%, გვანცა ყამარაული პ/ნ 01001068146 -20%, ანი ყამარაული პ/ნ 44001002197 -20%, ზაზა ყამარაული პ/ნ 44001000774 -20%. კომპანიაში მოხდა დირექტორის ცვლილება 10/02/2020 წელს ნაცვლად ერთი დირექტორის ყავს ორი დირექტორი : გურამ ყამარაული პ/ნ- 01001009708 და ზაზა ყამარაული პ/ნ- 44001000774.
კომპანიის საქმიანობის ძირითად მიმართულებას 2008 წლიდან წარმოადგენს ბუნებრივი აირის მიწოდება და აღრიცხვის კვანძის მოწყობა.

2. შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

კომპანიის ფინანასური ანგარიშგება მომზდებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე.

2.2 საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმის დაშვებით, რომ კომპანია წარმოადგენს მოქმედ საწარმოს და პროგნოზირებად მომავალში გააგრძელებს ფუნქციონირებას.

2.3 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულებებზე დაყრდნობით. თითოეული კატეგორიების აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალების განხილულია ქვემოთ მითითებულ შენიშვნებში.

2.4 საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი. რომელიც ასევე წარმოადგენს კომპანის ფუნქციონალურ ვალუტას.
ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია და წარმოდგენილია ქართულ ლარში.
უცხოურ ვალუტაში წარმოებული ოპერაციების ასახვა ბუღალტრულ ანგარიშგებაში ხორცილედება ოპერაციების განხორციელების დღეს არსებული კურსის გამოყენებით.

2.5 შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მომზადებისთვის ხელმძღვანელობამ გააკეთა კრიტიკული შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის. აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებსა და ხარჯებზე. კონკრეტული სფეროები , სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობებია გამოყენებული განხილულია მე-21 შენიშვნაში

2.6 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება
ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისიო საბჭოს და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების საერთასორისო კომიტეტის მიერ გამოშვებული ყველა იმ ახალ ან გადახედილ სტანდარტს, ინტერპრეტაციას, და შესწორებას არ აქვთ გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.
მიმდინარე წელს მიღებულ იქნა შემდეგი ახალი და რედაქტირებული სტანდარტები და ინტერპრეტაციები:

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“

საერთაშორისო ბუღალტრული არღიცხვის სტანდარტების საბჭომ ბასსს-მ გამოაქვეყნა თავისი ბოლო ცვლილება ფასს 9 „ფინანასურ ინსტრუმენტებთან“ დაკავშირებით, რომელიც ჩაანაცვლებს ბასს 39 „ფინანსური ინსტრუმენტები“ აღიარება და შეფასება. ახალი სტანდარტი მნიშვნელოვან ცვლილებებს ახდენს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციასა და შეფასებაზე და შემოაქვს ახალი

განსაზღვრება „ მოსალოდნელი ზარალი“ ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის. ასევე გვათავაზობს ახალ სახელმძღვანელო მითითებებს ჰეჯირების აღრიცხვაზე.

ფასს 15 – ამონაგები კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

ფასს 15 მეწარმე პირებს კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვის ერთიან, სრულ მოდელს სთავაზობს და ანაცვლებს შემოსავლის აღიარების არსებულ პრინციპს, მათ შორის „ბასს 18 – ამონაგები“, „ბასს 11 – სამშენებლო კონტრაქტები“ და ინტერპრეტაციებს -ფასიკ 13 - მომხმარებელთა წახალისების პროგრამები; ფასიკ 15 - შეთანხმებები უძრავი ქონების მშენებლობაზე; ეფასიკ 18 - აქტივების გადაცემა მომხმარებლების მიერ; და იმკ-31 - შემოსავლები - ბარტერული ოპერაციები სარეკლამო მომსახურების ჩათვლით.

ფასს 15-ის ამოსავალი პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ პირმა შემოსავალი ისე უნდა აღიაროს, რომ ამით ასახოს კლიენტებისათვის ნაკისრი საქონლისა თუ მომსახურების გადაცემა ისეთი თანხით, რომელიც ასახავს ანაზღაურებას, რის მიღებასაც პირი ვარაუდობს ამ საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ. კერძოდ, სტანდარტი გვთავაზობს ერთ პრინციპებზე დაფუძნებულ, ხუთეტაპიან მიდგომას შემოსავლის აღიარებასთან დაკავშირებით:

- კონტრაქტის კლიენტთან იდენტიფიცირება;
- საკონტრაქტო ვალდებულებების დადგენა;
- ტრანზაქციის ფასის განსაზღვრა;
- ტრანზაქციის ფასის მიკუთვნება საკონტრაქტო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი საკონტრაქტო ვალდებულებას შეასრულებს.

ფასს 15-ის შესწორების გამოყენებას კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლის მოცულობაზე ან მიღების დროზე და კომპანიის მიერ აღიარებულ შესაბამის აქტივებსა და ვალდებულებებზე არ უმოქმედია.

გამოქვეყნებული , მაგრამ ჯერ ძალაში შეუსვლელი სტანდარტები

ფასს 16 „იჯარა“

ფასს 16 „იჯარა“ მოითხოვს, რომ იჯარა აღირიცხოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივი „ გამოყენების უფლებით“ და საიჯარო ვალდებულება. ფასს 16 , ასევე

- ცვლის იჯარის განმარტებას
- აწესებს მოთხოვნებს, თუ როგორ აღვრიცხოთ აქტივი და ვალდებულება, და იმგვარი საკითხები, როგორიცაა არასაიჯარო ელემენტები,ცვლადი იჯარის გადასახადები, და იჯარის (გამოყენების) ვადა.

- ითვალსიწინებს გამონაკლისებს მოკლევადიან იჯარაზე და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებზე.
- ცვლის აღრიცხვას გაყიდვის და უკუიჯარის გარიგებებზე.
- ძირითადად ინარჩუნებს ბასს 17-ის მიდგომას
- გვაცნობს ახსნა-განმარტებით შენიშვნების ახალ მოთხოვნებს

  ფასს 16 ძალაში შევა 2019 წლის 01 იანვრიდან,სტანდარტის ვადამდელი გამოყენება ნებადართულია იმ შემთხვაში თუ გათვალსიწინებული იქნება ფასს 15 „ ამონაგები მომხმარებელთან გაფორმებული კონტრაქტებიდან“

  ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ ამ ცვლილებების გავლენა არსებითი არ იქნება ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკები

ბუღალტრული აღრიცხვის მიღებული პოლიტიკა წინა ფინანსური წლის პოლიტიკის შესაბამისია

3.1უცხოურ ვალუტაში განხორცილებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისთვის უცხოურ ვალუტაში განხორცილებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით.არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით.ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას უცხოურ ვალუტაშო არსებული მუხლების გადაფასებისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

ვალუტა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ლარი/აშშ დოლარი	2.8677	2,6766
ლარი/ევრო	3.2095	3,0701

3.2 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ხარჯი, თუ ამის აუცილებლობა არსებობს.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება მოიცავს:

ა) მისი ნასყიდობის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადებისა და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გამოკლების შემდეგ;

ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის;
გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რის ვალდებულებასაც საწარმო იღებს შეძენის მომენტში ან, შემდეგში, როდესაც გარკვეული დროის განმავლობაში საწარმო აქტივს იყენებს სხვა საქმიანობისათვის, გარდა მარაგის წარმოებისა.

ზარალი, რომელიც წარმოშობილია ძირითადი საშულების ჩამოწერიდან აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.
დანახარჯები კაპიტალიზდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში, ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება აღიარდება ხარჯებში , მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.
ცვეთა ერიცხება შემცირებადი ნაშთის მეთოდით და ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას შემდეგ, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითადი საშუალებების ჯგუფისთვის განსაზღვრული პროცენტი წარმოდგენილია შემდეგნაირად.:

- შენობა ნაგებობები - 5 %
- მილსადენები – 8 %
- ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი 20%

აქტივის ნარჩენი ღირებულება წარმოადგენს შეფასებით თანხას, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღებდა აქტივის გაყიდვიდან, (გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯების გამოკლებით), თუ აქტივს უკვე ექნებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს მოსალოდენელი ასაკი და მდგომარეობა. აქტივის ნარჩენი ღირებულება ნულია, თუ კომპანია აპირებს მის გამოყენებას აქტივის მთელი ფიზიკური ვადის განმავლობაში. აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა გადაისინჯება და საჭიროების შემთხვევაში იცვლება ბალანსის მომზადების თარიღისთვის.

3.3 არამატერიალური აქტივი

კომპანიას არ აქვს ბალანსზე რიცხული არამატერიალური აქტივები.

3.4 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები მომდევნო პერიოდებში იზომება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. მოკლევადიანი მოთხოვნები, რომელთაც პროცენტი არ ერიცხება,აღირიცხება ნომინალური ღირებულებით. ამოუღებადი თანხების სავარაუდო ოდენობის შესაბამისი ანარიცხები აღიარდება მოგება-ზარალში მაშინ,

თუ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. აღიარებული ანარიცხები იზომება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და საწყისი აღიარებისას მიღებული სავარაუდო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის, როდესაც ეს უკანასკნელი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით არის დისკონტირებული.

3.5 სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის წმინდა თანხა, რომლის მიღებასაც საწარმო მოელის ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში მარაგის გაყიდვის შემდეგ.

კომპანიის ბალანსზე არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგების ნაშთს წარმოადგენს მილსადენების მშენებლობისთვის განკუთვნილი სასაქონლო-მატერიალური მარაგები.

3.6 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება, შეფასება და ჩამოწერა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარება წყდება, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშერულებო უფლებებს ვადა გასდის, ან იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ რისკს და სარგებელს.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯებით გარდა იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის, ფინანსური აქტივები თავდაპირველი შფასების შესაბამისად დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად :

- სესხები და მოთხოვნები;

- რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით;
- სავაჭროდ გამიზნული ფინანსური აქტივები;
- დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას სხვადასხვა კატეგორიებს მიეკუთვნება მათი მახასიათებლებისა და დანიშნულების შესაბამისად. ფინანსური ინსტრუმენტის დაყოფა კატეგორიებად შეესაბამება, იმას თუ, მისგან გამოწვეული შემოსავალი ან ხარჯი აისახება მოგება-ზარალში თუ სხვა სრულ შემოსავალში.

ზოგადად, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით. აქტივის გაუფასურების შეფასება ხდება სულ მცირე ერთხელ საანგარიშგებო პერიოდში. ყველა შემოსავალი და ხარჯი, დაკავშირებული ფინანსურ აქტივთან აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შესაბამის პუნქად „ფინანსური ხარჯი“, „ფინანსური შემოსავალი“ ან სხვა „ფინანსური ხარჯი“.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე და მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, აგრეთვე ფულს ხელზე და საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით. შემდგომში ისინი ასახულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზირებული ღირებულებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშვება, როდესაც არსებობს ობიექტური მოსაზრება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური პრობლემები, მისი გაკოტრება ან მისი მხრიდან გადახდების პრაქტიკის მნიშვნელოვანი გაუარესება არის მნიშვნელოვანი ინდიკატორი იმისა, რომ მოთხოვნა გაუფასურებულია. გაუფასურების ოდენობა განისაზღვრება აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობით.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საეჭვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა ის მოთხოვნა, რომლის თანხის ამოღებაც მოსალოდნელი არ არის, პირდაპირ მოგება-ზარალში ჩამოიწერება ხარჯად.

ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

კომპანიას ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს ხელზე და ფულს საბანკო ანგარიშზე.

II ფინანსური აქტივები შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით

ფინანსური აქტივები შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით, მოიცავს სავაჭროდ გამიზნულ ფინანსურ აქტივებს და აგრეთვე იმ ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც თავდაპირველი აღიარებისას კომპანია აკლასიფიცირებს ამ კატეგორიაში. განმარტების თანახმად, ყველა წარმოებული ფინანსური ინსრუმენტი, რომელიც არ აკმაყოფილებს ჰეჯირების აღრიცხვას, მიეკუთვნება ამ კატეგორიას.

ნებისმიერი მოგება ან ზარალი, რომელიც მიიღება წარმოებული ფინანსური აქტივებიდან, რომელიც აქტიურ ბაზარზე განისაზღვრება საბაზრო გარიგებების შედეგად, ეფუძნება რეალურ ღირებულებაში ცვლილებას, ხოლო არა აქტიურ ბაზარზე, შეფასების მოდელის გამოყენებას.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

ფინანსური ვალდებულებების შეჯამება კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია

23 შენიშვნაში.

I სასესხო ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებების პირველადი აღიარება ხდება სესხის გამოშვებასთან დაკავშირებული გარიგების დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით. სხვაობა წარმოშობილი მის რეალურ ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აისახება პერიოდის მოგება-ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი მიღებულია აქციონერისგან. ამ შემთხვევაში სხვაობა წარმოშობილი რეალურ ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აისახება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. საწყისი აღიარების შემდეგ, სასესხო ვალდებულებები წარმოდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, ხოლო სხვაობა წარმოშობილი მის თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აისახება პერიოდის მოგება-ზარალში. სესხთან დაკავშირებული პროცენტი და სხვა დანახარჯები აღიარდება ფინანსურ ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დანახარჯები პირდაპირ მიეკუთვნება განსაკუთრებული აქტივის შეძენას, შექმნას ან

წარმოებას, ამ შემთხვევაში ეს დანახარჯები კაპიტალიზირდება განსაკუთრებული აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

II სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემოდგომში ისინი აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

3.7 კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი ფორმირებულია აკუმულირებული მოგებით. დივიდენდი აღიარდება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

3.8 ანარიცხები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ანარიცხი აღიარდება მაშინ ,როდესაც კომპანიას აქვს ვალდებულება იურიდიული ან კონსტრუქციული, რომელიც წარმოიქმნა წარსული მოვლენების შედეგად და სავარაუდოა, რომ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განოვთებული რესურსების გასვლა. როცა ფულის დროითი ღირებულების ეფექტი მნიშვნელოვანია ანარიცხების თანხა უნდა წარმოადგენდეს იმ დანახარჯების დღევანდელ ღირებულებას, რომლებიც მოალოდნელია, რომ საჭირო იქნება მოვალეობის შესასრულებად,დისკონტირების განაკვეთი უნდა წარმოადგენდეს დაბეგვრამდე არსებულ განაკვეთს,რომელშიც გათვალსიწინებულია ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებისა და მოცემული ვალდებულებებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური რისკი.

3.9 მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, რომელიც გაანგარიშებულია ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საგადასახადო განაკვეთით და ითვალისწინებს წინა წლებთან დაკავშირებული საგადასახადო ვალდებულების ყველა შესაძლო შესწორებას.

გადავადებული გადასახადი აღიარდება დასაბეგრი მოგების გაანგარიშების მიზნებისათვის გამოყენებულ აქტივებისა და ვალდებულებების დასაბეგ ბაზებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებ მათ საბალანსო ღირებულებებს შორის არსებულ ყველა დროებით განსხვავებაზე. გადავადებული საგადასახადო ვალდებულება ზოგადად აღიარდება ყველა დასაბეგრ სხვაობებზე. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივის აღიარება ხდება იმ ფარგლებში, რა ფარგლებშიც

მოსალოდნელია, რომ კომპანიას მომავალში ექნება დასაბეგრი მოგება, რომლის საპირისპიროდ შესაძლებელი იქნება დროებითი სხვაობების გამოყენება. მსგავსი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ აღიარდება, თუ წარმოქმნილი დროებითი განსხვავება წარმოიშვა გუდვილიდან, ან აქტივებისა და ვალდებულებების პირველადი აღიარებიდან (გარდა საწარმოთა გაერთიანებისა), რომელიც იმყოფება გადაცემის პროცესში და არ აქვს გავლენა, არც დასაბეგრ, და არც სააღრიცხვო მოგებაზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივის საბალანსო ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაიხედება და თუკი აღმოჩნდება, რომ აღარ არის მოსალოდნელი, რომ კომპანია მიიღებს იმდენ დასაბეგრ მოგებას, რაც საჭიროა აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივის სრულად ან ნაწილობრივ რეალიზებისათვის, მაშინ მისი საბალანსო ღირებულება შესაბამისად მცირდება.

გადავადებული მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიერ ბალანსის თარიღისათვის დადგენილი განაკვეთით და იმ განაკვეთის გათვალისწინებით, რომელიც ივარაუდება, რომ ძალაში იქნება მაშინ, როდესაც მოხდება გადავადებული მოგების გადასახადის შესაბამისი აქტივის რეალიზება ან ვალდებულების დაფარვა. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებისა და აქტივის საზომად გამოდგება საგადასახადო შედეგები, რომლებიც თანხვედრაში იქნებოდა კომპანიის მოლოდინებთან, რათა აინაზღაუროს ან გადაწვიტოს საკუთარი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება პერიოდის ბოლოს.

გადავადებული საგადასახადო აქტივები ან ვალდებულებები გაიქვითება, თუ არსებობს კანონიერი უფლება მიმდინარე საგადასახადო აქტივები გაიქვითოს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებით, და როცა ისინი დაკავშირებულია მოგების გადასახადთან, რომელიც აკრეფილია იმავე საგადასახადო ორგანოს მიერ და კომპანიას განზრახული აქვს საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვა.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომაპნიები იბეგრებიან მოგების გადასახადით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი,

გადასახადები, რომლებიც არაა ეკომომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა) ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმენება დროებითი სხვაობები აქტივებსა და ვალდებულებებში ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 01 იანვრიდან.

3.10 შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, მასში გათვალისწინებულია სავაჭრო ფასდათმობები და კომპანიის მიერ დაშვებული სხვა შეღავათები.

შემოსავალი შემცირებულია გაყიდული საქონლის უკან დაბრუნებით, ფასდათმობებით და სხვა მსგავსი შეღავათებით.

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- კომპანიამ გადასაცა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- ჯგუფს აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს, როცა შესაძლოა, რომ კონრაქტთან დაკავშირებული შემოსავალი შემოვა კომპანიაში და ოპერაციასთან დაკავშირებული დარიცხული და დასარიცხი ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული.

მომსახურების გაწევა

შემოსავალი მომსახურებიდან აღიარდება, როცა

- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;
- როცა შესაძლოა, რომ კონრაქტთან დაკავშირებული შემოსავალი შემოვა კომპანიაში;
- ანგარიშგების თარიღისთვის კონრაქტის დასრულების სტადია საიმედოდ იქნეს შეფასებული; და
- ოპერაციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული.

3.11 ნაღდი ფული და მისი ექვივალენტები

ფულადი ნაკადების ანგარიშგების შედგენის მიზნებისათვის, ფულადი სახსრების ექვივალენტები არის მოკლევადიანი, მაღალ ლიკვიდური ინვესტიციები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფულადი სახსრების ექვივალენტები უფრო მეტად გამიზნულია მოკლევადიან ვალდებულებათა შესასრულებლად, ვიდრე ინვესტიციებისათვის ან სხვა მიზნით. კომპანიის მიერ ინვესტიცია კლასიფიცირდება როგორც ფულადი სახსრების ეკვივალენტი, თუ იგი ადვილად გაცვლადია წინასწარ ცნობილ ნაღდი ფულის ოდენობაზე და მისი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

4. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებების საბალანო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 928,774,7. ლარს, ძირითადი საშულებები ბალანსში ასახულია ისტორიული ღირებულებით და შემცირებულია დაგროვილი ცვეთის ღირებულებით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით.

ღირებულება	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	იჯარის კეთილმოწყობა	მანქანა-დანადგარები	მილსადენები	სულ ჯამი
2018 წლის 01 იანვარი	714	84,771	5,113	937	18,833	666,524	776,892
შემოსავალი	195	500	273	6,067	3,756	173,395	184,186
გასავალი				(8)			(8)
2018 წლის 31 დეკემბერი	909	85,271	5,385	6,996	22,590	839,918	961,070
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება							-
2018 წლის 01 იანვარი	451	12,719	3,904	95	2,989	123,241	143,398
წლის ცვეთა	237	13,789	1,183	559	1,711	46,603	64,082
2018 წლის 31 დეკემბერი	688	26,508	5,087	654	4,699	169,844	207,480
საბალანსო ღირებულება 2018. 31.12	***221***	***58,763***	***299***	***6,342***	***17,890***	***670,075***	***753,590***

ღირებულება	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	ოფისის აღჭურვილობა	იჯარის კეთილმოწყობა	მანქანა-დანადგარები	მილსადენები	სულ ჯამი
2019 წლის 01 იანვარი	909	85,271	5,385	6,996	22,590	839,918	961,070
შემოსავალი		617	21	6,998	4,261	240,960	252,858
გასავალი					(12,212)	(223)	(12,435)
2019 წლის 31 დეკემბერი	909	85,889	5,407	13,994	14,639	1,080,656	1,201,493
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება							
2019 წლის 01 იანვარი	688	26,508	5,087	654	4,699	169,844	207,480
წლის ცვეთა	22	13,355	300	1,746	2,960	52,577	70,961
ცვეთის შემცირება					(5,722)		
2019 წლის 31 დეკემბერი	710	39,863	5,387	2,400	1,937	222,420	272,719
საბალანსო ღირებულება	**199**	**46,025**	**20**	**11,594**	**12,702**	**858,235**	**928,774.70**

5. მოთხოვნები მომსახურებიდან

მოთხოვნა არის მოკლევადიანი და და ამოღების ვადა განსაზღვრულია რამოდენიმე თვით მოთხოვნები აღირიცხება ლარში.

	31.12.2019	31.12.2018
გადახდილი ავანსები	688	134
სავაჭრო მოთხოვნები	442,577	367,367
სულ	443,265	367,501

6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგების თვითღირებულება გაანგარიშებულია საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე

	31.12.2019	31.12.2018
საწვავი	488	1,506
საქონლის მარაგი	57,180	24,519
სულ	57,668	26,025

7. ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

	31.12.2019	31.12.2018
ნაღდი ფული სალაროში ლარი	146,560	9,778
ფული საბანკო ამგარიშებზე ლარი	25,403	13,173
სულ	171,963	22,951

8. წინასწარ გაწეული საგადასახადო ხარჯი

	31.12.2019	31.12.2018
წინასწარ გაწეული საგადასახადო ხარჯი	867	5,686
სულ	867	5,686

9. კაპიტალი

9.1 კომპანიის კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შეადგენს 163,050 ლარს

9.2 გაუნაწილენელებელი მოგება

	31.12.2019	31.12.2018
გაუნაწილებელი მოგება	331,012	204,585
სულ	331,012	204,585

9.3 დივიდენდები

2018 და 2019 წელს დივიდენდი არ განაწილდა.

10. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები

კომპანიას მიღებული აქვს გრძელვადიანი სესხი შემდეგი ოდენობით.

	31.12.2019	31.12.2018
ლიბერთი ბანკი (LARI)	573,455	439,591
ნათია ჭიოკაძე	73,300	51,874
გურამ ყამარაული	11,630	11,630
სულ	658,385	503,095

11. ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

	31.12.2019	31.12.2018
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	348,134	263,853
სულ	348,134	263,853

12. მიღებული ავანსები

	31.12.2019	31.12.2018
მიღებული ავანსები	52,905	13,856
სულ	52,905	13,856

13. საპენსიო ანარიცხი

	31.12.2019	31.12.2018
საპენსიო ანარიცხი	186	-
სულ	186	-

14. გადასახდელი პროცენტი

	31.12.2019	31.12.2018
გადასახდელი პროცენტი	48,866	27,313
სულ	48,866	27,313

15. შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან

	31.12.2019	31.12.2018
შემოსავალი მიწოდებიდან და მომსახურეობიდან	1,792,144	1,411,087
სულ	1,792,144	1,411,087

16. თვითღირებულების ხარჯები

	31.12.2019	31.12.2018
გაყიდული/შეძენილი საქონელი	1,161,527	879,567
ნორმატიული გაზის დანაკარგი 3%	31,995	24,571
ზენორმატიული გაზის დანაკარგი	42,752	40,128
მონტაჟი	36,749	22,561
სულ	1,273,024	966,828

17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	31.12.2019	31.12.2018
ჩამოწერა	799	-
შრომის ანაზღაურება	132,528	179,440
გგს მომსახურება	10,170	10,170
საკანცელარიო ხარჯი	735	498
ბანკის საკომისიო	1,067	2,895
გულალტრული მომსახურება	8,400	8,550
მომსახურება	7,449	
მანქანის ხარჯი	9,829	8,360
საიჯარო ქირა	6,000	7,200

კომუნალური ხარჯი	230	270
საურავები და ჯარიმები	1,141	4,035
ტრანსპორტით მომსახურება	1,327	-
ექსპერტიზის ხარჯი	-	267
საოფისე ინვენტარი	-	52
ოფისის ხარჯი	982	473
რეგულირების საფასური სემეკი	2,107	4,920
საქველმოქმედო	270	-
კომუნიკაციის ხარჯები/ ინტერნეტი	2,518	2,639
სმს მომსახურება	-	968
საჯარო რეესტრის მომსახ	200	401
დაზღვევა	84	-
საპენსიოს ხარჯი	3,453	-
კომპიუტერის ხარჯები	8	13
საკონსულტაციო ხარჯები	200	-
ცვეთა და ამორტიზაცია	70,961	64,082
დღგ-ს გადასახადი	11,169	10,480
სხვა საგადასახადო ხარჯი	9,818	5,402
გამოუქვითავი	7	17
სხვა საერთო ხარჯი	1,271	2,134
შესრულებული სამუშაოები	1,020	-
საწვავის ხარჯი	11,069	16,314
ჯამი	294,810	329,579

18. შემოსავალი არასაოპერაციო საქმიანობიდან

	31.12.2019	31.12.2018
დაბრუნებული საპენსიო	484	-
არასაოპერაციო შემოსავალი	26,251	7,233
სულ	26,735.23	7,233.47

18.1 იჯარა

კომპანიას იჯარით აქვს აღებული სატრასპორტო საშუალებები, საოპერაციო იჯარის ხელშეკრულებებით. იჯარის პირობები მოიცავს 1 წლიან პერიოდს და არის გაგრძელებადი.

19. არასაოპერაციო ხარჯები

	31.12.2019	31.12.2018
ფინკა ბანკის სესხის პროცენტი	-	17,796
ფიზ. პირის სესხის პროცენტი	21,553	23,111

ლიბერთი ბანკის სესხის პროცენტი	66,244	27,930
არასაოპერაციო ზარალი	12,559	0
მონტაჟის არასაოპერაციო ზარალი	8,565	4
გაუფასურების ზარალი	-	5,353
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	1,303	-
ვადაგადაცილების ჯარიმა	20	-
მოგების გადასახადის ხარჯი	14,376	12,124
ჯამი	124,619	86,318

20. ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში

გამსესხებელი	31.12.2018	სესხის მიღება	სესხის დაფარვა	გადაფასება	31.12.2019
ლიბერთი ბანკის სესხი(ლარში)	439,591	260,000	126,136	-	573,455
სესხი პარტნიორისგან	11,630	-	-	-	11,630
ფ/პ ნათია ჭიოკაძე	51,874	21,426	-	-	73,300
სულ	503,095	281,426	126,136	-	658,385

21. მნიშვნელოვანი ბუღალტრული მსჯელობები და დაშვებები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ასევე გაითვალისწინება მომავალ მოვლენებთან დაკავშირებული მოლოდინები,ასეთი დაშვებები და მსჯელობები პერიოდულად გადაიხედება, არსებულ სიტუაციასთან შესაბამისობის მიზნით.

21.1 მნიშვლენლოვანი ბუღალტრული შეფასებები

ხელმძღვანელობა შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალსწინებით, მიღებული სააღრიცხვო შეფასებები შესაძლოა განსხვავდებოდეს რეალური შედეგისგან. შეფასებები და შესაბამისი დაშვებები ფასდება რეგულარულად. ბუღალტრული შეფასებების შესწორება აღიარებას ექვემდებარება იმ პერიოდსათვის, როდესაც ხდება შესწორება, თუ შესწორება ეხება მხოლოდ ამ პერიოდს,ხოლო იმ შემთხვევაში თუ იგი ეხება მიმდინარე და მომავალ პერიოდებს, შესაბამისად შესწორება მოხდება მიმდინარე და შემდგომ პერიოდებში.

შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს, განხილულია ქვემოთ:

ძირითადი საშუალებების საციცოცხლო ვადა

მენეჯმენტმა შეაფასა ძირითადი საშუალებების საციცოცხლო ვადა , და დარწმუნებულია რომ იგი არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური მომსახურების ვადის ხანგრძლივობისგან.თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავდება ამ შეფასებებისგან,ფინანსური ანგარიშგება განსხვავებული იქნება.

უიმედო ვალი

ხელმძღვანელობა აფასებს მისაღები დებიტორული დავალიანებების დონეს ისტორიულ გამოცდილებასა და სამომავლო მოლოდინებზე დაყრდნობით.დავალიანების ამოღების რეალური ვადა შესაძლოა განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისგან.

21.2 ძირითადი დაშვებები მომავალთან დაკავშირებით

მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ კომპანიის საქმიანობის შედეგები წარსული გამოცდილების და მიმდინარე მოვლენებისა და გარემოებების გათვალსიწინებით კვლავ ზრდას განაგრძობს.

22. გარანტიები და პირობითი ვალდებულებები

მიმდინარე პერიოდში შპს „ყამარი მ”-ს სახელზე არ მიმდინარეობს არანაირი სასამართლო დავა.

23. ფინანსური ინსტრუმენტები

23.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის დეტალები და განხორცილების მეთოდები, მათ შორის შემოსავლისა და ხარჯის აღიარების კრიტერიუმები, თითოეული კლასის ფინანსური აქტივის, ვალდებულების და კაპიტალის ინსტრუმენტის შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა # 3-ში.

23.2 ბიზნეს გარემო

კომპანია 2008 წლიდან დღემდე ახორციელებს ბუნებრივი აირის რეალიზაციას და ახალი აბონენტების მიერთების მომსახურებას. ბუნებრივი აირის მიწოდება ხდება თბილისის მაშტაბით, კერძოდ გლდანი, თემქა მუხიანის ტერიტორიაზე კომერციულ და სოციალურ აბონენტებზე. ბუნებრივი აირის მიწოდების და ახალი აბონენტების მიერთების ტარიფებს არეგულირებს

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისისა (სემეკი).

მენეჯმენტი მტიკედ არის დარწმუნებული, რომ გაატარებს ყველა სათანადო ზომას, რათა უზრუნველყოს ბაზარზე ოპერირება კანონმდებლობით მოთხოვნილი ყველა სტანდარტით და დამკვეთების მომსახურების მაღალი ხარისხით უზრუნველყოფა.

23.2 გადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემა ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვილებებით.ასევე ინტერპრეტაციის მაღალი ხარისხით. აღიარებული გადასახადები საგადასახადო ორგანოების მხრიდან ექვემდებარება შემოწმებას და განხილვას , რასაც რიგ შემთხვევებში ახლავ გარკვეული სანქციები. მენეჯმენტს სჯერა, რომ საგადასახადო ვალდებულებები კომპანიის მიერ სამართლიანადაა განსაზღვრული.

24. დაკავშირებულ მხარეთა ოპერციები

2019-2018 წლებში შპს „ყამარი მ“ -ს განხორციელებული აქვს ქვემოთ მითითებული სამეურნეო ოპერაციები შემდეგ ურთიერთდამოკიდებულ პირებთან:

2018 წელი

დაკავშირებული მხარე	ოპერაციის შენაარსი	დარიცხული თანხა	ნაშთი 31.12.2018
დირექტორი	ხელფასი	61,878.75	-
დირექტორი	სესხი	45,600.00	11,630.00
დამფუძნებელი	ხელფასი	15,450.00	-
დარიცხვის სამსახურის უფროსი	ხელფასი	24,700.00	-
დარიცხვის სამსახურის უფროსი	სესხი	69,800.00	51,874.00

2019 წელი

დაკავშირებული მხარე	ოპერაციის შენაარსი	დარიცხული თანხა	ნაშთი 31.12.2019
დირექტორი	ხელფასი	31,724.48	-
დირექტორი	სესხი	11,630.00	11,630.00
დამფუძნებელი	ხელფასი	15,280.60	-
დარიცხვის სამსახურის უფროსი	ხელფასი	14,809.94	
დარიცხვის სამსახურის უფროსი	სესხი	73,300.00	73,300.00

25. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020 წელს კომპანიაში დაემატა მეორე დირექტორი ზაზა ყამარაული პ/ნ- 44001000774.

26. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2020 წლის 25 სექტემბერს

დირექტორი: გურამ ყამარაული

შპს "ყამარი მ"-ს ფინანსური ანგარიშგება 2019
წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თანხა
წარმოდგენილია ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		31.12.2019	31.12.2018
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4.00	928,775	753,590
სულ გრძელვადიანი აქტივები		*928,775*	*753,590*
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5.00	443,265	367,501
სასაქონლო მატერიალური მარაგები	6.00	57,668	26,025
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	7.00	171,963	22,951
წინასწარ გაწეული საგადასახადო ხარჯი	8.00	867	5,686
სულ მიმდინარე აქტივები		*673,763*	*422,162*
სულ აქტივები		*1,602,538*	*1,175,752*
გაუნაწილებელი მოგება	9.00	331,012	204,585
კაპიტალი		163,050	163,050
სულ კაპიტალი		*494,062*	*367,635*
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	10.00	658,385	503,095
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		*658,385*	*503,095*
მიმდინარე ვალდებულებები			
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურე	11.00	348,134	263,853
მიღებული ავანსები	12.00	52,905	13,856
საპენსიო ანარიცხი	13.00	186	
გადასახდელი პროცენტი	14.00	48,866	27,313
საგადასახადო ვალდებულებები			-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		*450,091*	*305,023*
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		*1,602,538*	*1,175,752*
		-	-

დირექტორი: გურამ ყამარაული
თარიღი: 25/09/2020

შპს "ყამარი მ"-ს ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით თანხა წარმოდგენილია ლარში

სრული შემოსავლის ანგარიშგება

		31.12.2019	31.12.2018
შემოსავლები	15	1,792,144	1,411,087
თვითღირებულების ხარჯები	16	(1,273,024)	(966,828)
საერთო მოგება		*519,121*	*444,258*
სხვა შემოსავლები			
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17	(294,810)	(329,579)
საოპერაციო მოგება		224,310	114,680
საფინანსო შემოსავალი			
საფინანსო ხარჯი			
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	18	26,735	7,233
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	19	(124,619)	(86,318)
სხვა ხარჯი			
მოგება დაბეგვრამდე		126,427	35,595
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		126,427	35,595

დირექტორი: გურამ ყამარაული
თარიღი: 25/09/2020

შპს "ყამარი მ"-ის ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით თანხა წარმოდგენილია ლარში

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

		საწესდებო კაპიტალი	მოგება	გაცემული დივიდენდი	სულ
I	2019 წლის 1 იანვრისთვის	367,635			367,635
1	საწარმოს (საწესდებო) კაპიტალის გაზრდა ფულადი სახსრებით				-
2	საწარმოს (საწესდებო) კაპიტალის გაზრდა ქონებრივი შენატანით				-
3	მოცემული პერიოდის მოგება		126,427	-	126,427
II	2019 წლის 31დეკემბრისთვის	367,635	126,427		494,062

დირექტორი: გურამ ყამარაული

თარიღი: 25/09/2020

შპს "ყამარი მ"-ის ფინანსური ანგარიშგება 2018წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თანხა
წარმოდგენილია ლარში

	საწესდებო კაპიტალი	მოგება	გაცემული დივიდენდი	სულ
2018 წლის 1 იანვრისთვის	332,039.96			332,039.96
საწარმოს (საწესდებო) კაპიტალის გაზრდა ფულადი სახსრებით				-
საწარმოს (საწესდებო) კაპიტალის გაზრდა ქონებრივი შენატანით				-
მოცემული პერიოდის მოგება		35,595		35,595
2018 წლის 31დეკემბრისთვის	332,039.96	35,595	-	367,635

დირექტორი: გურამ ყამარაული

თარიღი: 25/09/2020